

კითხვარი თბილისის მერობის კანდიდატებისთვის

გთხოვთ, პასუხი გასცეთ ქვემოთ ჩამოთვლილ შეკითხვებს. თითოეული არ უნდა აღემატებოდეს 250 სიტყვას. შეგიძლიათ, არ უპასუხოთ ზოგიერთ შეკითხვას, რომელზეც ჯერჯერობით არ გაქვთ გამოკვეთილი პოზიცია ან, თქვენივე შეფასებით, ესა თუ ის საკითხი ცალკე პოლიტიკის გატარებას არ საჭიროებს.

ზოგადი ხედვა / წინასაარჩევნო პროგრამის მოკლე შეჯამება

1. როგორია თქვენი ხედვა ქალაქის განვითარების ძირითად პრიორიტეტებთან დაკავშირებით?

თბილისის სჭირდება რადიკალურად განსხვავებული და სწორად გააზრებული სტრატეგია მდგრადი ურბანული განვითარებისთვის. “ლელოს” მიერ წარდგენილი პროგრამის მთავარი კომპონენტები ქალაქის წინაშე არსებულ თითქმის ყველა მსხვილ გამოწვევას პასუხობს. მათ შორის უმნიშვნელოვანესია სწორი ურბანული პოლიტიკა, სადაც ამოსავალი წერტილი და პრიორიტეტი ადამიანის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაა. ამისათვის საჭიროა მასშტაბური გადაწყვეტილებები ქალაქმშენებლობით, სატრანსპორტო, ინფრასტრუქტურული, გარემოსდაცვითი, კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების კუთხით.

ადამიანების საცხოვრებელი გარემოს უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვანია სამშენებლო რეგულაციებისა და სტანდარტების ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობა; ერთ სულ მოსახლეზე ქალაქის მწვანე ინფრასტრუქტურის ხვედრითი წილის გაზრდა; დეცენტრალიზაცია და პოლიცენტრული განვითარება; სატრანსპორტო საკითხების კომპლექსური გადაწყვეტა, ქალაქის მორგება ფეხით მოსიარულეთა ინტერესებზე; საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხვედრითი წილის გაზრდა და ალტერნატიული ეკოლოგიური სატრანსპორტო საშუალებების წახალისება, ჰაერისა და წყლის ხარისხის გაუმჯობესება, მტკვრის გაწმენდა და ჩართვა როგორც ტურისტულ, ასევე, სატრანსპორტო ქსელში, ნარჩენების მართვის სწორი პოლიტიკა, მომავალზე ორიენტირებული სოციალური პოლიტიკა, სოციალურად დაუცველთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება, ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობა.

განვითარება და ეკონომიკა

2. გთხოვთ, მოკლედ აღწეროთ თბილისის გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარების თქვენელი ხედვა/გეგმა (არსებობის შემთხვევაში).

თბილისი ისტორიულად ასრულებდა კავკასიის საქმიანი ცენტრის ფუნქციას. ჩვენი ამოცანაა, გავაძლიეროთ თბილისის, როგორც ფინანსური და ბიზნეს ჰაბის იმიჯი, მოვიზიდოთ საერთაშორისო კორპორაციები და დავიმკვიდროთ რეგიონში ყველაზე მიმზიდველი ბიზნეს ქალაქის ადგილი. შემდგომი 4 წლის განმავლობაში მასშტაბური ბიზნესის მიზნობრივი მხარდამჭერი პროგრამით სრულად გარდავქმნით თბილისის ბიზნეს-ინფრასტრუქტურას.

ჩვენ შევქმნით 100 000 სამუშაო ადგილს მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობით, ქალაქგანვითარების მეგაპროექტებითა და ეფექტური მართვით.

თბილისი გახდება რეგიონის საინვესტიციო და დასაქმების ცენტრი, უახლოეს 4 წელიწადში მისი ბიუჯეტი გასამმაგდება - გაიზრდება 1 მილიარდ აშშ დოლარამდე.

კერძო და საჯარო (PPP) პარტნიორობის პროგრამების ფარგლებში შევქმნით სტარტაპერებისა და აქსელერატორების მხარდაჭერის სპეციალურ ფონდს, რომელსაც საერთაშორისო მმართველი კომპანიის მენეჯმენტი ეყოლება და ინოვაციურ ბიზნესპროექტებს წახალისებს.

3. თქვენი აზრით, რა მთავარი პრობლემები უშლის ხელს დედაქალაქის ეკონომიკურ განვითარებას?

დედაქალაქის ეკონომიკურ განვითარებას ყველაზე მეტად ქვეყანაში არსებული საინვესტიციო გარემო აფერხებს, რაც გამოწვეულია სასამართლო სისტემითა და იმ არასწორი ურბანული პოლიტიკით, რომელიც თბილისის ქაოსურ განაშენიანებას აყალიბებს. ინვესტიციებს სჭირდება სტაბილური და კონკურენტული გარემო. ამასთან, მნიშვნელოვანია გვექონდეს ნაკლები ბიუროკრატია და მეტი გამჭვირვალობა.

4. რა არის თბილისის ძირითადი შესაძლებლობები/უპირატესობები, რომელთა გამოყენებასაც შეეცდებით მისი ეკონომიკური და ურბანული განვითარების მისაღწევად?

პირველი და უმთავრესია ქალაქის ფუნქციური და გეოგრაფიული პოტენციალის მაქსიმალური ათვისება. ეს არის თანამედროვე თბილისის განვითარების ახალი მიდგომა, რომელიც მოიცავს 5 ქალაქის კონცეფციას და აერთიანებს სივრცეებს, რომელთაც არცთუ სიმბოლურად ეწოდებათ “საქმიანი ქალაქი”, “კინო ქალაქი”, “სამუზეუმო და საფესტივალო ქალაქი”, “განათლებისა და ინოვაციის ქალაქი” და “სამედიცინო ქალაქი”.

თბილისის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია კრეატიული ინდუსტრიების წახალისება: მაგალითად, მოდის ინდუსტრიაში ადგილობრივი დიზაინერების მხარდაჭერა საერთაშორისო არენაზე და წამყვან მოდის სახლებთან თანამშრომლობა (Balenciaga, Christian Dior და ა. შ.). არქიტექტურული მომსახურების საერთაშორისო ჰაბის შექმნა, რომელიც დაუკავშირდება ადგილობრივ და საერთაშორისო უნივერსიტეტებს და ხელს შეუწყობს ქართველ პროფესიონალთა ახალი თაობის მომზადებას.

თანამედროვე ქალაქების განვითარებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს თანამედროვე ტექნოლოგიებს, როგორც საქმიან სფეროში, ისე ქალაქების ურბანული პროცესების მართვისას. ამიტომ, ჩვენი მიზანია, თბილისი ვაქციოთ IT ინდუსტრიის ცენტრად. დავნერგავთ ინფორმაციის მართვის ღია პლატფორმას (open data), რაც წახალისებს კომპანიებს ახალი პროდუქტების შექმნისკენ, როგორც სახელმწიფო, ისე საერთაშორისო ბაზრებისთვის.

5. როგორია თქვენი საბიუჯეტო პრიორიტეტები? გთხოვთ, მოკლედ განმარტოთ თქვენი საბიუჯეტო პოლიტიკა.

კანდიდატის პოზიცია ამ კითხვაზე უცნობია.

6. რა ღონისძიებებს გაატარებთ თბილისის ბიზნეს და კომერციული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად და ინვესტიციების მოსაზიდად?

კანდიდატის პოზიცია ამ კითხვაზე უცნობია.

[ურბანული განვითარება / ქალაქდაგეგმარება / ბინათმშენებლობა](#)

7. როგორ ფიქრობთ მოქალაქეთა საბინადრო პირობების გაუმჯობესებას?

დღესდღეობით თბილისს ფაქტობრივად, არა აქვს საბინადრო პოლიტიკა, მაშინ, როცა საბჭოთა საცხოვრისების უმეტესობას ექსპლუატაციის ვადა გაუვიდა, უამრავი ადამიანი კი ავარიულ შენობებში ცხოვრობს. ჩვენი აზრით, უნდა მომზადდეს სწორი და სტრატეგიულად გაწერილი საბინაო პოლიტიკა, რომელიც მოიცავს როგორც ავარიული ნაგებობების ჩანაცვლების სქემას, ისე სოციალური საცხოვრისების სისტემური განვითარების კურსს. აღნიშნული პროექტები უნდა განხორციელდეს კერძო დეველოპერებისა და ქალაქის მმართველობის აქტიური თანამშრომლობით, ისე, რომ შედეგებში ასახული და გათვალისწინებული იყოს ქალაქის ინტერესები.

8. რა ღონისძიებებს გეგმავთ დედაქალაქში ქუჩების უკეთ დასუფთავებისთვის?

ჩვენ გვაქვს სუფთა ქალაქის ერთიანი კონცეფცია, რომელიც მოიცავს როგორც ქუჩების რეგულარულ დასუფთავებას, ისე ნარჩენების ერთიანი პოლიტიკის განსაზღვრას, რაც გულისხმობს ნარჩენების დახარისხებისა და სეპარაციის წახალისებას, ნარჩენების შეგროვება-გატანის ევროპული მართვის მოდელს. 4 წელიწადში დასრულდება თანამედროვე ნაგავგადაამუშავებელი ქარხნის მშენებლობა კერძო-საჯარო პარტნიორობის მოდელით და მომზადდება არსებული პოლიგონების კონსერვაცია/განახლების გეგმა.

[ინფრასტრუქტურა და ტრანსპორტი](#)

9. რა ღონისძიებებს მიმართავთ ქალაქში ქვეითა გადაადგილების მაქსიმალური უსაფრთხოებისა და კომფორტისთვის?

ქალაქში გადაადგილებისთვის ფეხით მოსიარულეთა სასარგებლოდ შემუშავდება ტროტუარების კომფორტული და უწყვეტი ქსელის პროექტი, რომელიც სრულად იქნება ადაპტირებული შშმ პირებისა და საბავშვო ეტლებისთვის.

10. როგორია საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის გაუმჯობესების თქვენეული გეგმა?

თანამედროვე ქალაქის აუცილებელი ატრიბუტია მუნიციპალური სერვისებით მოქალაქეთა ხარისხიანი მომსახურება, ნაკლები ბიუროკრატია და ციფრული ტექნოლოგიები. თბილისში 4 წელიწადში სრულად დაინერგება “Smart City - ჭკვიანი ქალაქის” კონცეფცია, რაც უზრუნველყოფს ქალაქის ცხოვრებაში თბილისელების სრულფასოვან მონაწილეობას.

ჩვენი პრიორიტეტია - საზოგადოებრივი ტრანსპორტი ყველა უბანს, ეკომეგობრული სატრანსპორტო საშუალებები, მუნიციპალური ტრანსპორტის მართვის ერთიანი სისტემის შემოღება და მომხმარებლებისთვის კომფორტული მობილური აპლიკაციის შექმნა.

ელექტრო და ჰიბრიდული სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის გასაზრდელად სპეციალურ წამახალისებელ პროგრამას შევიმუშავებთ. ვგეგმავთ მეტროს არსებული ქსელის რეაბილიტაციას და შემადგენლობების დამატებას მოლოდინის დროის შესამცირებლად. მეტროს გაგრძელებას ტრამვაის/საგარეუბნო რკინიგზის სადგურებით, როგორც დიდი დიდმის, ისე - სოფელ ლილოს მიმართულებით.

11. რა ქმედით ნაბიჯებს გადადგამთ დედაქალაქში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების გაუმჯობესებისთვის?

კანდიდატის პოზიცია ამ კითხვაზე უცნობია.

12. რა მექანიზმებით ფიქრობთ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა გადაადგილების ხელშეწყობას?

ჩვენი მიზანია, თბილისი ყველასათვის თანასწორი შესაძლებლობების ქალაქად იქცეს. მათ შორის, მობილობისა და საჯარო სივრცით სარგებლობის თანასწორობის, რაც სწორი პოლიტიკითაა შესაძლებელი. შესაბამისად, ქალაქის ინფრასტრუქტურა სრულად უნდა ადაპტირდეს - საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტებისა და პრაქტიკის სრულყოფილი გამოყენებით.

13. როგორ აპირებთ უპატრონო ცხოველების საკითხის მოგვარებას?

ჩვენი აზრით, აუცილებელია ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს სრული რეორგანიზაცია და ფინანსური რესურსის სწორი და სამართლიანი განაწილება. საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებით თბილისში მოეწეობა მიუსაფარ ცხოველთა თავშესაფრები, სადაც მათზე სათანადოდ იზრუნებენ. მოხდება პოპულაციის შესაბამისი მენეჯმენტი, წახალისდება მიუსაფარ ცხოველთა მიკედლების პრაქტიკა. საჯარო სამსახური აქტიურად ითანამშრომლებს ცხოველების დამცველებთან და საგანმანათლებლო დაწესებულებებთან - ბავშვებსა და ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლების კუთხით. გამკაცრდება ცხოველების მიმართ არასათანადო მოპყრობის გამო სანქციები.

კულტურა და განათლება

14. როგორია თქვენი ხედვა თბილისის კულტურული და შემოქმედებითი პოტენციალის განვითარების თვალსაზრისით?

ჩვენი მიზანია თბილისის უნიკალური კინოკულტურის გაცოცხლება და იმ დიდი ტრადიციის აღორძინება, რასაც საფუძველი ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ჩაეყარა. ქართველ კინემატოგრაფისტთა და მსახიობთა მხარდაჭერა და თბილისის რეგიონული კინოწარმოების ცენტრად გადაქცევა.

თბილისში თანამედროვე კინოინდუსტრიის ინფრასტრუქტურის შექმნა და საერთაშორისო წამყვანი კინოსტუდიების მოწვევა (Universal Studios, Paramount, Sony, Disney and etc.), რომლებიც ისარგებლებენ დედაქალაქის ურბანული ლანდშაფტით და საქართველოს უნიკალური ბუნებრივი რესურსებით.

თბილისის თეატრალური უნივერსიტეტის ბაზაზე კინოხელოვნების სატრენინგო პროგრამების არეალის გაფართოება საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინებით და ახალგაზრდა ტალანტების აღმოჩენის პროგრამის დაფინანსება.

ინვესტიცია თბილისის სამუზეუმო ინფრასტრუქტურასა და საერთაშორისო კულტურულ ღონისძიებებში - სანახაობრივი არქიტექტურის მიმართულებით, რაც გამოიწვევს “ბილბოს ეფექტს”: თავის დროზე გუგენჰაიმის მუზეუმის შექმნა ახალი კულტურული ცენტრის სტატუსი შესძინა ბასკეთის დედაქალაქს.

თბილისის, როგორც “ქალაქი მუზეუმის” პოზიციონირება, მისი უნიკალური არქიტექტურის ბრენდინგი და პრომოუშენი - რაც დამატებითი სტიმული იქნება კულტურული ცხოვრების წახალისებისა და განვითარებისთვის.

თბილისში არსებული ყოფილი საწარმოო სივრცეების გარდაქმნა თანამედროვე საგამოფენო და საფესტივალო ინფრასტრუქტურად - საფესტივალო და საკონფერენციო სივრცეების მწვავე დეფიციტის აღმოსაფხვრელად, კერძო და საჯარო თანამშრომლობის (PPP) სპეციალური პროექტის ფარგლებში.

15. თქვენი კომპეტენციის ფარგლებში, რას მოიმოქმედებთ თბილისში განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად?

აუცილებელია თბილისში ბაღების რაოდენობის გაზრდა და სპეციალური სავაუჩერო სისტემის შექმნა, რაც მშობლებს ბავშვის სკოლამდელი მომზადების პროცესის დაფინანსებას გაუადვილებს.

საჯარო-კერძო პარტნიორობის ფარგლებში უნდა შეიქმნას არაფორმალური საგანმანათლებლო ცენტრები, სადაც სტუდენტები დაეუფლებიან თანამედროვე პროფესიებს - დასაქმების მაღალი შესაძლებლობებით.

თბილისის გლობალური აკადემია - ბაზა პროფესიული და ტექნოლოგიური პროგრამების შესაქმნელად, რომელიც მოიზიდავს ნიჭიერ ახალგაზრდებს, საერთაშორისო მკვლევრებს და ინოვატორებს. მუდმივი კონფერენციებისა და სემინარების მოწყობა ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით.

თბილისის ინოვაციების ცენტრი - ქართული და უცხოური წამყვანი საგანმანათლებლო ინსტიტუტების პარტნიორობის პროგრამის შექმნა, საერთაშორისო აქსელერატორების შემოყვანა და თბილისის, როგორც რეგიონული ინოვაციური ჰაბის პრომოუშენი.

უცხო ენების ცენტრი თბილისელი ახალგაზრდებისთვის, სადაც მსურველები უფასოდ შეისწავლიან უცხო ენებს და საერთაშორისო სასერტიფიკატო გამოცდებისთვის (SAT, TOEFEL, IELTS) მოემზადებიან.

უსაფრთხოება და კრიმინალი

16. რა ღონისძიებებს გაატარებთ კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლის, კრიმინალის პრევენციისთვის?

თბილისში სრულად იქნება დაცული თითოეული მოქალაქის უსაფრთხოება და ჩვენი ქალაქი მომდევნო 4 წელიწადში ყველაზე უსაფრთხო დედაქალაქების ხუთეულში შევა. დანაშაულის პრევენციისთვის მოეწყობა სწრაფი რეაგირების სისტემა და განგაშის დილაკები, განხორციელდება 24-საათიანი მონიტორინგი თბილისელების უსაფრთხოებისთვის.

ჯანდაცვა და სოციალური პოლიტიკა

17. როგორი იქნება თქვენი სოციალური პოლიტიკა დედაქალაქში? რა სოციალური პროგრამები განხორციელდება?

ჩვენი მიზანია, თბილისელებს შევთავაზოთ ახალი სოციალური და ჯანდაცვის პროგრამები: სმენადაქვეითებულებისა და უსინათლოების, ეტლით მოსარგებლეთა და სხვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დასაქმების პროგრამა, რომელიც წახალისებს შშმ პირთა დასაქმებას როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში.

შეიქმნება დიაგნოსტიკის, სამკურნალო და რეაბილიტაციის საერთაშორისო დონის (დიდმის) სამედიცინო კლასტერი, რომელსაც შესაბამისი ინფრასტრუქტურით (პარკინგი, ტრანსპორტი, გამწვანება) ქალაქის მთავრობა (მერია) უზრუნველყოფს. მის ტერიტორიაზე მოეწყობა საკონფერენციო სივრცე, საერთაშორისო სადემონსტრაციო და სამედიცინო ტრენინგ ცენტრი; კლასტერი გახდება საქართველოში სამედიცინო ტურიზმის განვითარების საბაზო-დიაგნოსტიკური და სამკურნალო დაწესებულებების კომპლექსი.

დავწერავთ დამატებით დიაგნოსტიკურ, სამკურნალო-სარეაბილიტაციო მუნიციპალურ პროგრამებს, რომლებიც ხანდაზმული, სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაფინანსებას უზრუნველყოფს.

შევქმნით სპეციალურ მუნიციპალურ პროგრამას, რომელიც თბილისის მოწყვლად მოსახლეობას უფასოდ და შეღავათიანი ფასებით მიაწოდებს მედიკამენტებს.

18. რა გზებს მიმართავთ თბილისში ჯანდაცვის ზოგადი ინდიკატორების გაზრდისთვის?

ამ მიმართულებით იგეგმება საჯარო სკოლებისა და ბაგა-ბაღების ექიმისა და ექთნის ინსტიტუტის გაძლიერება.

შევქმნით დამატებით დიაგნოსტიკურ, სამკურნალო-სარეაბილიტაციო მუნიციპალურ პროგრამებს ხანდაზმული, სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დაფინანსებისთვის.

შევქმნით სპეციალურ მუნიციპალურ პროგრამას, რომელიც უზრუნველყოფს უფასოდ და შეღავათიანი ფასებით მედიკამენტების მიწოდებას თბილისის მოწყვლადი მოსახლეობისათვის, რომელიც ამ კატეგორიის ინტერესებს დაიცავს.

19. რა ღონისძიებებს გეგმავთ ქალაქში მიუსაფართა სოციალური პირობების გასაუმჯობესებლად?

ჩვენი მიზანია, უახლოეს 4 წელიწადში დედაქალაქში არ იყოს არც ერთი ხანდაზმული სოციალურად დაუცველი, ამოქმედდეს მოვლა/მზრუნველობის მუნიციპალური პროგრამა, მოხუცებულთათვის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი 5 ახალი დაწესებულება აშენდეს.

ხელმისაწვდომი საცხოვრებელი ყველას - სოციალური საცხოვრებლის მშენებლობის 10-წლიანი პროგრამა, საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება და ევროპული მოდელების დანერგვა.

უსახლკარო, მათხოვარი ბავშვების სოციალური მდგომარეობის აღრიცხვის, შესწავლისა და სოციალიზაციის პროგრამის განხორციელება.

ეკოლოგია, რეკრეაცია და სპორტი

20. როგორია თქვენი გეგმები და ხედვა თბილისის ეკოლოგიურ მდგომარეობასთან დაკავშირებით?

ჩვენი მიზანია თბილისისთვის მწვანე ქალაქის იმიჯის დაბრუნება, ეკოლოგიურად სუფთა გარემოს შექმნა და ჯანსაღი ცხოვრების წახალისებით პრევენციული პოლიტიკის გატარება თითოეული თბილისელის ჯანმრთელი მომავლისათვის. ჩვენი გუნდის მიერ შემუშავებული ქალაქის მწვანე სივრცეების დაცვის ეფექტური პოლიტიკა და მათი გაჯანსაღების ეფექტური კონცეფცია 4 წელიწადში რეალურ შედეგს მოგვცემს.

სუფთა ჰაერი ქალაქს - ჰაერის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა, საწარმო სიმძლავრეების გატანა ქალაქიდან, რომლებიც ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედებს. ქალაქის გათავისუფლება სამშენებლო, ეკოლოგიაზე უარყოფითად მოქმედი კანცეროგენური საფრთხის შემცველი ნარჩენებისაგან.

21. რა ღონისძიებებს გაატარებთ თბილისში რეკრეაციული ზონების, პარკების გაფართოებისა და განვითარებისთვის?

3 ახალი ცენტრალური პარკი 100 ჰექტარზე, რომელიც იქნება თბილისის ახალი ფილტვები. თბილისის ყველაზე მჭიდრო განაშენიანების ზონაში მოეწყობა ქალაქის მწვანე ბირთვი: მზიური, ძველი ზოოპარკი, ძველი იპოდრომი და ვაკის პარკი ერთმანეთს მწვანე ბილიკებით დაუკავშირდება.

შესაბამისად, მომდევნო 4 წლის განმავლობაში თბილისის მწვანე საფარი გასამმაგდება და გაუთანაბრდება გაეროს სტანდარტებს:

- თბილისის მწვანე ბირთვი: ზოოპარკი, მზიური, იპოდრომი;
- თბილისი გრანდ პარკი - დიდმის ჭალები;
- თბილისი “ჰაი ლაინი” - სარკინიგზო მაგისტრალის ადგილას.

შემუშავდება თბილისის ზღვის ტერიტორიის განაშენიანების 9-წლიანი გეგმა. შედეგად, ეტაპობრივი განვითარების გზით სრულიად ახალ ტურისტულ ზონას მივიღებთ.

22. რის გაკეთებას აპირებთ სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის განვითარებისთვის და სპორტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის გასაუმჯობესებლად?

სრულფასოვანი სპორტული კომპლექსი და ოლიმპიური აუზი თბილისის ყველა რაიონს - მუნიციპალური აუზების მშენებლობა თბილისში. გეგმა: 10 აუზი 4 წელიწადში - თითო აუზი ყველა რაიონს. მუნიციპალიტეტიდან მოხდება თბილისელებისათვის სპორტული კომპლექსის აბონემენტის სუბსიდირება: იარსებებს სპეციალური ტარიფები მოსწავლეების, სტუდენტების, პენსიონერებისა თუ სოციალურად დაუცველებისათვის.

კულტურული მემკვიდრეობა

23. რა ღონისძიებებს მიმართავთ თბილისის ისტორიული იერსახის შესანარჩუნებლად?

12 თვეში მოხდება კერძო საკუთრებაში არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების პასპორტიზაცია და რესტავრაცია-მშენებლობის კონცეფციური გეგმის მომზადება.

ტრანსპარენტული და ყველასათვის გასაგები კრიტერიუმებით განისაზღვრება რესტავრაციის თანადაფინანსების მექანიზმი მუნიციპალიტეტის მხრიდან და მფლობელებს ინვესტიციის მოზიდვაში დაეხმარებიან.

შეიქმნება საზოგადოებრივი პროფესიული საბჭო და ინოვაციური სადისკუსიო პლატფორმა ქალაქის განვითარებისათვის. დაინერგება კულტურული მემკვიდრეობის აღდგენის ახალი PPP ფინანსური მოდელი, როგორც დასავლეთში აპრობირებული მეთოდი.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონად განისაზღვრება არა მხოლოდ ძეგლი, არამედ, მისი ხედვის არეალი - ურბანული მემკვიდრეობა. მომზადდება კონკრეტული ქუჩებისა და მოედნების რეაბილიტაციის გეგმა, რაც უახლოესი 4 წლის განმავლობაში განხორციელდება.

24. რას ფიქრობთ ხელოვნების მუზეუმის შესაძლო დანგრევასთან დაკავშირებით?

ჩვენ არ გვაქვს დასაკარგი კულტურული მემკვიდრეობა. ყველა ნაგებობა, რომელიც ისტორიული ღირებულების მატარებელია, ნებისმიერ ფასად უნდა შევინარჩუნოთ: ისტორიას ვერ დავიბრუნებთ, ამიტომ ქალაქის მომავალი მისი წარსულის გათვალისწინებით უნდა შევქმნათ.

სხვა საკითხები

25. 2021 წლის ივლისში განხორციელდა მასშტაბური ძალადობა ლგბტქი+ თემისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ. როგორია ამ საკითხზე თქვენი, როგორც მერობის კანდიდატის პოზიცია?

თბილისი ისტორიულად ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ადგილია. დაუშვებელია ქალაქის ქუჩებში განსხვავებული ნიშნით ადამიანების დევნა და მათ მიმართ ძალადობა. თბილისი უნდა იყოს თანასწორობის, თანადგომის, განვითარებისა და თანაბარი შესაძლებლობის ქალაქი ყველასათვის.

26. მერობის შემთხვევაში, თქვენი კომპეტენციისა და პოლიტიკური როლის გათვალისწინებით, როგორ შეუწყობთ ხელს აზრის, შეკრებისა და მანიფესტაციის უფლებების დაცვასა და თავისუფლებას?

როგორც მერი, აქტიურად ვიქნები ჩართული კონსტიტუციური თავისუფლების კულტურის და პრაქტიკის დაცვასა და ამ საკითხებზე ცნობიერების ამაღლების პროცესში.

27. რა ღონისძიებებს გეგმავთ დაუსრულებელი მშენებლობების, ავარიული შენობა-ნაგებობების პრობლემების რეგულირებისთვის?

მნიშვნელოვანია თბილისის სივრცითი მოწყობის გენერალური გეგმის გაჯანსაღება და აღნიშნული დოკუმენტის რეალობად გადაქცევა, როგორც ქალაქის განვითარების მთავარი გზამკვლევის და კონსტიტუციის.

სამშენებლო რეგულაციების მოქნილი და მოქალაქეთა ინტერესებზე ორიენტირებული რეფორმირება: მუნიციპალიტეტი მოქალაქეთა ინტერესების დამცველი გახდება.

ჩვენი ხედვით, მშენებლობა-სანებართვო დოკუმენტაციის გადამოწმების პრეროგატივა მერიიდან გავა და დამოუკიდებელი სააგენტოს სახით გააგრძელებს მუშაობას.

ქალაქის მაღალი კულტურული ფასეულობის ზონებში და ახალი საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების მშენებლობის წინა პერიოდში მოხდება მაცხოვრებელთა ინტერესების გათვალისწინება და მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმი შემუშავდება.

თბილისში არსებულ მიტოვებულ ნაგებობებსა და ინდუსტრიული დანიშნულების გამოუყენებელ შენობებს მიენიჭება მეორე სიცოცხლე - ეს შენობები საზოგადოებრივი და კულტურული დანიშნულების სივრცეებად გარდაიქმნება.

მაღალსართულიანი და მასიური მშენებლობები მთლიანად გადაინაცვლებს ქალაქის ახალ ცენტრებში და ქალაქის ისტორიულ ნაწილში მსგავსი პროცესები აიკრძალება.

28. როგორია თქვენი პოზიცია თბილისის შემოვლითი რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებით?

თბილისიდან სატვირთო რკინიგზის პერიფერიაზე გადატანით და ქალაქის ყოფილი ინდუსტრიული კომპლექსის დემონტაჟით თავისუფლდება 90 ჰა მიწა, სადაც სრულიად ახალი ტიპის ქალაქგანაშენიანება დაიგეგმება - მათ შორის, 70 ჰა დაეთმობა მწვანე ინფრასტრუქტურას, ახალ ცენტრალურ გრძივ საქალაქო პარკს, ხოლო დარჩენილი 20 ჰა - თბილისის საქმიანი ბიზნესცენტრის შექმნას.

29. მდინარე მტკვარი - თბილისის ორგანული ნაწილი, ამ ეტაპზე ნაკლებად ათვისებულია. თქვენი აზრით, როგორ შეიძლება სატრანსპორტო თუ სარეკრეაციო მიზნებისთვის მისი უფრო ეფექტურად გამოყენება?

დავუბრუნოთ მტკვარი თბილისს! დაინერგება მტკვრის სისტემური დასუფთავების მექანიზმები და მოეწყობა მტკვართან მისადგომი სარეკრეაციო ზონები. აგრეთვე, გაიხსნება დახურული მდინარეების გარკვეული მონაკვეთები და მიწისქვეშა წყლების მართვის სისტემა განახლდება.